საქართველოს მთავრობის განკარგულება

№780 2015 წლის 20 აპრილი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთები.

2. ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს, უზუფრუქტის საგნის საკომპრესორო სადგურამდე მისასვლელი გზის მშენებლობის მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ -

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

				დანართი
№	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
1	85.05.26.388	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	სასოფლო-სამეურნეო	70
2	85.05.26.391	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	სასოფლო-სამეურნეო	3
3	85.05.26.392	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	სასოფლო-სამეურნეო	122
4	85.05.26.394	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნარდევანი	არასასოფლო-სამეურნეო	76
5	85.10.21.089	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერთა (ოლიანგი)	სასოფლო-სამეურნეო	273
6	85.10.21.092	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბერთა (ოლიანგი)	სასოფლო-სამეურნეო	38
7	85.11.22.199	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	601
8	85.11.22.200	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	130
9	85.11.22.201	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	434
10	85.11.22.203	წალკის მუნიციპალიტეტი, ბურნაშეთი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	376